ოქმი:**ო05.37210561**
თარიღი:**25/02/2021**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2020 წელი, 24 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

15.00-15.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ეროდი გორდელაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. ჩავლეშვილი, ლ. სიჭინავა, მ. ბერიძე, ბ. დოლიძე, ვ. ნიჟარაძე, ვ. ჩხაიძე, თ. ბურჭულაძე, ტ. მგელაძე, გ. კილაძე, გ. ჩაგანავა, პ. კიღურაძე, ვ. ბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს რიგებიდან ფრაქციის წევრების გასვლის შესახებ.

მომხსენებელი: ე. გორდელაძე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნება-ძლიერი თვითმმართველობისათვის“ დაფუძნების შესახებ.

მომხსენებელი: ე. გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ ე. გორდელაძემ კომისიის წევრებს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს წევრების განცხადება ფრაქციიდან გასვლის შესახებ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-9 პუნქტი აძლევს მათ ამის უფლებას. აქვე დასძინა, რომ იგივე მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით ფრაქცია ითვლება გაუქმებულად.

სხდომის თავჯდომარემ ე. გორდელაძემ ასევე მოახსენა კომისიის წევრებს, რომ კომისიაში შემოსულია მასალები ფრაქცია “ქართული ოცნება-ძლიერი

თვითმმართველობისათვის“ დაფუძნების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-მუხლის მოთხოვნებთან.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. კომისიის გადაწყვეტილება ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს შემადგენლობიდან წევრთა გასვლის შედეგად ფრაქციის გაუქმების თაობაზე მოხსენდეს საკრებულოს უახლოეს სხდომას.

2. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა ფრაქცია “ქართული ოცნება-ძლიერი თვითმმართველობისათვის“ დაფუძნების შესახებ და იგი წარედგინოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი